პეტრე — მამაკაცის სახელია. მაგალითად, პეტრე გვალია. სიტყვა პეტრე ებრაულად ნიშნავს კლდეს. პეტრე გვალია, რომელმაც ყირიმში გერმანელების ბატონობის დროს შექმნა ქართველ პარტიზანთა რაზმი, კლდესავით უმკლავდებოდა ფაშისტთა ურდოებს. პეტრეს სახელი არაპეტრესად შეუძლია დამისახუროს... იყოს თუნდაც პავლე, ოღონდ პეტრესავით მამაცი და სახელოვანი.

1944 წლის № 37-38 „ნიანგი“ მხურვალედ ესალმება გმირ წითელ არმიას, რომელიც ძღვეამოსილად მიიწვედა ფაშისტური ბუნავისაკენ:

... ვინაც ჩვენი ქვეყნის მთა-ბარს, —
სამჭოეთის მზეს დარაჯობს, —
ჩვენს უძლეველ წითელ ლაშქარს,
ჩვენს არმიას გაუმარჯოს!

ძვირად დაუსვენს ჩვენმა მეომრებმა მტერს თავისი სიხარბე, რაც მწერალმა სიკო ფაშალიშვილმა ჩინებულად გამოხატა პოლიტიკურ მიზნობილად ლექსად, რომლის სათაური უკომენტაროდღაც ყველაფერს ამოხსნის: „მიწა სურთ ფაშისტ ნავაზებს? — არ დავზარდებით მავაზე!“ (1941 წ., № 12).

გერმანული ნაციონალ-სოციალისტებისათვის ამოუცნობი ყოვლისმძლე საბჭოთა პარტიოტიზმისა და ჩვენი ხალხის ერთსულოვნების მხატვრული დოკუმენტია ალექსანდრე მალულარიძის დოკუმენტური მოთხრობა „სამი თაობა“ (1941 წ., № 11), რომლის კულმინაციას წარმოადგენს სტეფანე მიმინოშვილის განცხადება:

27-ე წლისთავს. აქ განსაკუთრებით იყვრობს ყურადღებას გაშლილი მეოთხე-მეხუთე გვერდი, რომელსაც სათაურად ამშვენებს დიდი აკაკის აფორიზმად ქცეული სიტყვები — „ვინ შეაკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მსარ-მკლავები!“

გურნალში წარმოდგენილი არიან ქართველი ხალხის სამაყო შეილები: გენერალი პორფირე ჩანჩიბაძე, ლეგენდარული პარტიზანი დავით ბაქრაძე, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ზაქარია სიტალიშვილი, მამაცი მებრძოლი გუბულაძე.

... ჩანჩიბაძე ვაჟკაცი,
ქებით ინსუნებს ქვეყანა,
ნაბილი მსარებზე მოიგდოს,
წარბები რისხვით შეყარა!
სადღა მიაღდა, ვასტემა,
მტერი დალენა შეყვარა!



„რაინდი“ გზაჯვარადღწევა
პიტლერი: — აღარ ვიცი
საით წავიდე!.. ამ გზებზე უკაც
მოვიტებე კისერი!
ნახ. ს. ნაღარაიშვილისა
1948 წ., № 19-20



წინათვრისობა

პიტლერის სურათი (პიტლერი): — ჩემო პატრონო, გული მიგრძობს, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება ჩვენს ცხოვრებაში..

პიტლერი: როგორ?
სურათი: — მალე მე ჩამოვიდებენ და შენ ჩამოგვიდები!

ნახ. ს. ნაღარაიშვილისა
1942 წ., № 12

ანა კალანდაძე
**პარუი გომო, ჭია-
 ჭია გარია!**

მზე იცინის, ვარდფურცლობის
 და შენს ქოხთან გუგუნია
 კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
 არას გავნებ, მხოლოდ
 მზე იცინის, ვარდფურცლობის
 და შენს ქოხთან გუგუნია
 უნისლოა, ზეცას გაუდარია,
 ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის
 გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
 ბარბაროსი დაულეწავს

უნისლოა, ზეცას გაუდარია,
 ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის
 შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია
 ჩვენი მოსვრა, აბა, როგორ
 გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
 ვუგალობოთ სამშობლოს მინდორ
 შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
 ჩვენი მოსვრა, ან კი როგორ
 ზღვადდარხეულ მინდორს
 ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა
 დინჯად მისდევს კვალში ძველი
 ვერ წაიღებს სორბალს
 ვრცეულ მინდვრებს ტრაქტორები
 ბალ-ბოსტნებში თოხნიან და

ზღვადდარხეულ მინდორს
 ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა
 ჩემი გული ვარდფურცლობის
 შრიალებენ, გუგუნებენ თელეები:
 ჩვენთან მუდამ გათენების დარია,
 ჩვენი სმლის ქვეშ მტერს არ
 კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
 მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელეები!
 ჩემი გული ვარდფურცლობის
 გუ-გუ-გუ-გუ... გუგუნებენ
 მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
 ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები..
 გამიცინე, თუ არ მომეფერები!
 მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
 ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები..

1946

საგჰოთა კავშირის გმირი

მხალი კუიშვილი:

ადამიანს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება — დაივიწყოს სამწუნარო მოვლენები და გაიხსენოს ცხოვრების ყველაზე ხალისიანი დღეები. ახლაც, როცა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ უკვე ორმოცი წელი გავიდა, უფრო ხშირად ვიგონებთ არა მძიმე ბრძოლებსა და საზარელ სურათებს, არამედ იმ ნათელსა და ხალისიან განცდებს, რომლებიც ასევე თან სდევდა ომის წლებს. შევესოთ თუნდაც ერთ მოვლენას: რას შეიძლება შევადარო ის, რასაც ჩვენ განვიცდიდით მრავალ ქალაქისა თუ სოფლის გათავისუფლების დროს?! ბრძოლის შემდეგ შევიჭრებოდით უკრაინის, ბელორუსიისა თუ ჰოლონეთის, ან ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში და უმაღლეს მოგვეხვეოდა სარდაფებიდან და სამალავებიდან ამოსული მოსახლეობა. თქვენ გეხვევიან, გკონიან მოსუცები, ქალები, ბავშვე-

ბი, აცრემლებული თვალებით!... რალაც აუწერელი ბედნიერება გამოსახული მათს დატანჯულ სახეებზე და თქვენც უნებლიეთ ცრემლები გაწვებათ, გრძნობთ უზომო ბედნიერებას, თქვენს გულში და ისახუდრებს ზეიმი, რომელიც გაგყვებათ სიცოცხ-

ლის ბოლომდე და მარად გეხმარებათ ცხოვრების მძიმე წუთებში!... საბჭოთა ჯარისკაცი ხალისიანი და მხიარულია! ბრძოლებისაგან თავისუფალ წუთებში მუდამ გაისმობდა სიმღერა (რამდენი შესანიშნავი სიმღერა დაიბადა სწორედ ომის წლებ-

ში!), მხიარული საუბარი და მარილიანი ხანკლოტები, რომელთაც ხარხარი მიჰყვებოდა!... მაგონდება ჩემი ნაწილის შტაბის უფროსი კაპიტანი ა. ვილენსკი, ხარკოველი არქიტექტორი. მას ანეკდოტების ულეველი მარაგი ჰქონდა, რომელიც ოთხი წლის მანძილზე არ გამოლევიდა. საოცრად იცოდა მათი მოყოლა (ამასაც სომ ნიჭი ესაჭიროება?! თანაც თვითონ ღებულობდა თავისი თხრობით უდიდეს სიამოვნებას. სამწუნაროდ, იგი დაიღუპა ომის დამთავრების წინა დღეებში. ჩვენ მარად ვიგონებთ იმით, ვინც არ დაბრუნდა, ვიგონებთ ჩვენს თანამებრძოლებს, რომელთაც სამშობლოს შესწირეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ და თავიანთი სიცოცხლეც, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ უდიდეს ომში და ეს არის მთავარი, ეს არის სასიხარულო!



— ... რვა!.. ცხრა!.. ნოკაუტი!



ქალიან ადრე, ჯერ კიდევ ჯანდონით სავსე, შემოქმედებითი აღზევების პერიოდში წავიდა ჩვენგან მოსე ქარჩავა — შესანიშნავი ჟურნალისტი, ერუდირებული ლიტერატორი, ბრწყინვალე მთარგმნელი და მოქართულე. მისი სატირულ-იუმორისტული

ნაწარმოებები, თარგმანები, ლიტერატურული წერილები ფართო აღიარებით სარგებლობდა მკითხველთა შორის.

მოსე ქარჩავამ 1942 წლის მარტში დაამთავრა თელავის სამხედრო სასწავლებელი და მაშინვე ჩაება სამამულო ომის ქარცეცხლში. 1942 წლის მაისში ტყვედ ჩავარდა ქერჩისათვის მიმდინარე ბრძოლებში. შემდეგ — ტყვეთა ბანაკი რუმინეთში, გაქცევა, ფრონტის ხაზის გადალახვა და ისევ ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათები აღსავსე იყო იმედითა და რწმენით: „ასე არასოდეს არ შევარებია ჩემი პარტია!“, „რაც უნდა მოსდეს, მჯერა, ჩვენ ვავიძარჯვებთ!“

და, მართლაც, გამარჯვებული დაბრუნდა მოსე თბილისში და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1948 წელს. 1948-1952 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე. 1956-1958 წლებში იგი საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქტორია, 1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კი უზრუნველ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. „ნიანგის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი ნაწარმოებები „ქარბოტის“ ფსევდონიმით.

რედაქციაში შემოსულ ყველა მთხოვნელს მ. ქარჩავა ახლობელივით იღებდა, ეხმარებოდა, ამხნევებდა, შუამდგომლობდა ზემდგომ ინსტანციებში, უანგაროდ დაპყვებოდა სხვადასხვა უწყებებში და ცდილობდა, მორალური თუ მატერიალური დახმარება გაეწია..

ალალმართლობით, გულგანსნობით, სიკეთით, ხალისით, უბრალოებით, ყურადღებით, მოსე, პირველი გაცნობისთანავე, თავის გარშემო იკრებდა ახალ-ახალ თავყვანსიმცემლებს. ამიტომაც იხუმრა „ნიანგის“ მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა, ჩვენგან ასევე უღრთოდ წასულმა ძვირფასმა ნოდარ დუმბაძემ: „მოსე რომ რედაქციაში ამოდის მე-5 სართულზე, ჩვენთვის ადრევეა ცნობილი: პირველი სართულიდანვე კოცნის სმა ისმისო“.

მოსე ქარჩავა ცნობილია, როგორც ჩინებული მთარგმნელი. ინგლისური ენის შესანიშნავი მცოდნე, მან ქართულად აამეტყველა ჯ. სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, უ. შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ჯ. ბაირონის „სარდნაპალი“, ბ. შოუს „პიგმალიონი“, თ. დრაიზურის „ფინანსისტი“, ჯ. ლონდონის მოთხრობები და სხვა.

მაღე ოცი წელი შესრულებდა მოსე ქარჩავას გარდაცვალებიდან, მაგრამ დროთა დინება ვერ გაცივებს იმ სიყვარულს, რაც მან დატოვა ახლობლებსა და მეგობრებს შორის.

ნათელი სიცოცხლე არასოდეს არ ქრება!


ხალასი ნიჭი, ცხოვრების ღრმა ცოდნა, იუმორის მრავალფეროვნება, სატირისათვის აუცილებელი სიმხვილე და სხარტულობა! — ის, ის არსენალი, რითაც შეძლო **ბრიგოლ ჩიქვილაძე** მკითხველის გულის დაპყრობა. ჟურნალ „ნიანგის“ ყველა ნომერი, რომელშიც მისი ფელეტონი იყო დაბეჭდილი, ხელიდან ხელში გადადიოდა, საფიქრალს უჩენდა როგორც კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულ პირებს, ასევე იმათაც, რომელთა გულგრილობითა და თავის არიდებით, საზოგადოებისათვის მოუთმენელი მანიკერება იდგამდა ფეხს!..

გრიგოლმა ლექსების წერა ბავშვობაში დაიწყო. ამის შესახებ თავის ავტობიოგრაფიაში მილით აღნიშნავდა:

ერთხანს სოფლად ვიზრდებოდი, ლექსებს ვწერდი გლეხურად, ჩემი ლექსი ხან რძის ქოთანს, ხან ხაჭოს ჯამს ვსურა, ხან კეცის ჭადს ჩაუფენდნენ, ხან საჭაპურს — ტყაში, ხანაც ძაბრად იყენებდნენ, ნათეს ახსამდნენ ლამაზში!.. მე კი მაინც ვამაყობდი ლექსებით და სოფლითა, იმდენს ვწერდი, იმდენს, იმდენს, — ყველაფერში მყოფნიდა!

მაგრამ თავმდაბალმა, საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნმა იუმორისტმა დიდხანს ვერ გაბედა რედაქციისათვის მოეწოდებინა თავისი ლექსები. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, როგორც ფილარმონიის მსახიობი, ჩონგურით ხელში უმღეროდა საბჭოთა ქვეყნის წინსვლასა და აღმავლობას. ხოლო როდესაც ომის მრისხანე ექიმ შეაზანზარა კავკასიონის მთების მწვერვალები, მან ფანდური თაროზე შემოდო და, წითელარმიელის ფარავანებულნი, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა!.. ფრონტზე მრავალჯერ დაჭრილი, მოუშუშებელი ჭრილობებით მისდევდა უკან გერმანელ ფაშისტებს და, ალბათ, ბერლინშიც შევიდოდა, რომ, რუმინეთში მარჯვენა

ბრიგოლ ჩიქვილაძე



გრიგოლი ყოველთვის ეძებდა მკითხველთა გულის გასაღებს. მათ სიხარულით თუ წუხილს იზიარებდა, სატირულ-იუმორისტული მახვილით ებრძოდა ნეგატიურ მოვლენებსა და ყველა ჯურის ანტიმოვლენებს!..

თავისებური კვალი დატოვა მან, როგორც ავტორმა, საქართველოს ფილარმონიაში. მის ლექსებს, ფელეტონებს, მინიატიურებს, სკეტჩებს, იუმორესკებს დღესაც არ დაუკარგავთ ელფერი, ხოლო მის ერთ ლექსზე გივი გაგლოშვილის მიერ ამონათქვამი სიმღერა „დუღუკო ჩემო!“ მთელს საქართველოს მოედო და ხალხის საყვარელ პანგად იქცა.

გრიგოლ ჩიქვილაძეს პირადულზე სიტყვის თქმა არ უყვარდა და, დაე, მისმა ნაწარმოებებმა ილაპარაკონ მასზე — ერთ მართალ, კეთილ, უთქმელ ავტორზე, რომლის შემოქმედებამაც მეტეორივით გაიფლვა ქართულ სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურაში.


ვალერიან ბაგუკალაშვილი

არ დაეკარგა და ცალხელა არ დაბრუნებოდა ოჯახს. შემდეგ იმ დროს ასე იკონებდა გრიგოლი: მერე — ომი!.. სიმღერისტივის, აბა, ვილას


უცხლა?! დუშმანმა რომ ფრონტზე მნახა შიშით ფერი ეცხლა!.. იქვე მისვდა, რომ ფაფურმა ჩაუარა უქმდა! ერთად პირი რომ დავადეთ, არც კი გვეყო ლუქმდა!

ომიდან დაბრუნებულ გრიგოლს ერთი წუთითაც არ უფიქრია დასვენებაზე. მარჯვენადაკარგული, მარცხენა ხელით სატირის მახვილს მისწვდა და სიკვდილამდე ხელიდან არ გაუშვია!..

ქართველმა მკითხველმა იგი შეიყვარა იმ მტკივნეული, საჭირობოტო საკითხების საშუაარაოზე გამოტანისათვის, რომლებიც ჩრდილს აყენებდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.



სტალინმა და ამირეჯა პირდაპირი მავთულით, დახვეწილი ქართულით: ჟორჯია, ომში სომ არ წამოხვალთ?! რაჲ, შე კაცო, შე რა, კაცებში გამოწყვეტილი კი არ ვარ-მეთქი?! არ იყო ცნობებული გლახა გულს კაცი, ისე, ერთი ნაკლი ქე ქონდა ახლა, კაცმა რომ თქვას - რუჲა არ იგოდა თურმე, გლობუსით მუშაობდაო, ერთმა თქვა. პო, იმას ვამბობდი: თუ წამოხვალთ?! წავედი, კანიშნა! ომს რაც შეეხება, ომი ისე დიდ-ხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ ამ რაჭვე-ლების ამბავი სომ იცი?! - ძალიან დასცეს ტემპი: ნამეტანი დახალი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს! ის კი არადა, 1945 წელს მიღებული ბრძანება ერთმა აგერ ახლა შეასრულა - 1945 წელს სიდის აფეთქება უბრძანეს და 1984 წლის დეკემბერში ააფეთქა სოფიამი სიდი, ქვე მაშინ ვერ მოვასწარიო! ლუნშე პოზნო, ჩემ ნიკაგაო, იძახოდა თურმე, კიდევ კარგი, კაცის მსხვერ-პლი არ ყოფილა, თვარა მოგვეტყობოდა თავი ბულგარულ მეგობრებთან! ისე, დიდი გმირობა მაქვს ჩადენილი, რომ იცოდეთ! მუსოლინი მე და გოგია შტრილიცმა დევი-ჭირეთ! იაპონიაშიც ვიყავი. ბლომად ყოფი-ლან ჩვენებურები. სოფელია მთელი. კამიკა-ძეები თუ კამკამიძეები, კარგად აღარ მას-სოვს. მართლა მაგრა ვიომე! ჩამოვედი და, ორმოცი წელია, სტაქანოველი მუშა ვარ, არავისზე ნაკლები სტაქანოველი არ ვარ, რომ იცოდეთ! შეძლებული ოჯახი მაქვს. ისე, რაც ჯარიდან ჩამოვედი, კვების რეჟიმი დამერღვა ცოტა და გავსუქდი, მარა არა უშავს, აერობიკა ყოფილა რაღაცა, ვისტუ-ნაჯუბ და გავსდები, შე კაცო! სამი „ფიგუ-ლი“ გეყავს ოჯახში. პო, მართლა: სეროფასი არ იყოს, „ფიგული“ საიდან გეყავსო, თვარა



როგორმეო! ბევრი ვინოხე თუ ცოტა ვინო-ხე, ვხედავ, ბარე ათი გერმანელი არ დგას აგერ?! ვიფიქრე, ერთის მიყვანას არ ვოზია, ათს მიიყვან-მეთქი! დავიჭირე ათივე და წამიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკში! შევე-



ტანკი საიდან გეყავსო, არავის უკითხავს ამ 40 წლის წინათ! ვიცი, ბატონო, ტარება და არ უატარო?! საიდუმლო საკეტი დაეუყვნე ისეთი... პოი, დასწყველის ღმერთი: პი-პი-პი-პი-პი-პი-პი-პი...

ჟორჯია საკონცენტრაციო ბანაკში

ზომში ჭირი მარგებელიაო, რომ იტყ-ვიან, მართალია! ერთი ამბავი უნდა ვითხრა. ზოგს ანეკ-დოტი გონია, მარა ნაღდი ამბავია: ომი რო დღიწყო, სტაქანოველი მუშა ვიყავი. ფეროში ვმუშაობდი. წამიყვანეს და წავედი. ერთხელ დაზვერვაში გამიშვეს, მოხუცე მოიყვანეს! არც ამბავ მითქვამს უარი. წვენიებული ბიჭი იყო კამიტანი და ვეღარ გავაწბილე. ერთი მოხუცე მოიყვანო იქნებ

დით საკონცენტრაციო ბანაკში. რის კონ-ცერტი, რა კონცერტი! ახლა აღარ ავიწერთ იქაურობას, ყველამ კარგად იცით, რაც იყო საკონცენტრაციო ბანაკი! კიდევ კარგი, ზურგზე შედნიერი ნომერი შემსჯდა 99-99-99. ამ ცოტა ხნის წინათ მასეთი ნო-მერი, ჩემზე კარგად იცით თქვენ, კაი ფული ღირდა!..

ერთ დღეს შეიყვანეს კრემატორიუმში ხალხი დასაწავად. შედნიერი ნომრები ვი-საც გექონდა, ქე დაგვტოვას. შეყარეს ეს ამოღენა ხალხი და მიუშვეს შეჩვენებულებმა გაზი. ქე იცით, რა უბედურია გაზი. ჯერ ლიმონათში რას შერება და იქ რას იზამდა! დაჭარფალდა ხალხი, მარა რა დაჭარფალდა!.. კარგა ხნის მერე ვააღეს კრემატორიუმის კარი და რას ხედავენ: ზის აგერ ორი ტყვე და განაღებული აქვთ ფურთის თამაში. კი მარა, ვინ ხართ, კაცო, თქვენო, გედირიენ გერმანულები. ჩვენო, ბატონო, შესტაფონე-ლები ვართ, ფეროში ვართ ნამუშევარი და რას გეიზამს მაგ თქვენი გაზი, რაღაცა სხვა მოგვიხერხეთ, თვარა სომ ხედავთ, ორივე სულ ვაგებთ და ვაგებთ, ერთი ფურთი არ შეგვხვდა, ნეტაი ვალეტები არაა ამ დასა-წავ კალოდაშიო?!

ისე, გადარჩენ ი ბიჭები, სო იცი შენ! შეწყვიტეთ ხალხის სოცვაო! - ბრძანება მე-ვიდა მოსკოვიდან და ქე გადარჩენ ასე!

სამწუსაროა, მაგრამ ფაქტია: ათ-სში ერთხელ უსახლოდ დაღუპულ გემირს დაფენების მითვისებას ცდილობს ოს, დიხაც არაფრია გამოუჩენია თავი. ერთ ასეთ თე-თმარქვია გემირს წარმოვიდგენთ ახლა. ზის იგი თავის კამინეტში შედნიერი და კმაყოფილი, იქ, სადაც ორდენები უნდა ეკეთოს, ცხვირ-სახსოცი ჩაუტენია, და ტელეფონით ინტერ-ვიუს აძლევს რომელიღაც რედაქციის თანა-მშრომელს:

- როგორ?! დიხა! კი! სატანკო ნაწილში ისე, თვითთფრინავი დაწყავდა! რამდენი გაფრენა?! რა მასსოვს ახლა, პატივცემულო?! ისე, ბლომად გავაფრინე! პარტიზანიც ვიყა-ვი! სად ვიდექით?! სად გაგონილა, პატივ-ცემულო, დამდგარი პარტიზანი?! დავდიო-დით, ბოლთას ვირტყმევინებოდით! ძირითა-დად მტრის ზურგში! დაჭრილი თუ ვიყავი?! დაჭრილი კი არა, გმირული სიკვდილით და-ვეცი ბრესტის ციხე-სიმაგრესთან!.. რატომ გაიცინეთ, პატივცემულო?! დავეცი-მეთქი, რო ვთქვი?! წამოვდექი, შე კაცო! „რომ შეეძ-ლოს საფლავიდან, ძმებო, მხრების წამოწე-ვაო!“ რასან იმას არ შეეძლო, არც მე წა-მომედგარიყავი?! არა, პატივცემულო, არავინ ამბობდა ჩემს გადარჩენას, მაგრამ გადავრჩი და გამეგ ვარ ახლა აგერ! ისე, ზურგშიც მაგარი სამუშაო მუდამ! ზურგი უნდა გქონ-დეს კაცს მაგარი, ზურგი! თუ გაქვს მაგარი ზურგი, ქე დარჩები ზურგში! რომელ ნაწილ-ში ვიბრძოდი?! №-ში, პატივცემულო! პოლ-კის უფროსი რა გვარი იყო?! პოლიტსელი ვინ იყოო?! რა მასსოვს, შენ გენაცვალე, ორმოცი წლის წინანდელი ამბავი?! ეს კი არადა, გუშინ რა ვჭამე, ის არ ვიცი! თუმცა როგორ არ ვიცი: პო, პო, ბიჭო, რა ჩაქა-ფული იყო! ან რა მწვადი იცის იმ უპატრო-ნომ! დიეტას არა, ჩემს ფუნებს დაიცავ! რა ბრძანეთ?! ალო! ალო! გაითიშე ეს ოხერი! მეონი დაკიდა! მაღნიშაო!..

ტია-ტია



ილუსტრაციები დ. პრისტაშინს



აპაპი გეგადი

ქართული

საბუთია საჭირო, საბუთი!

თვითმფრინავის ჩამოგდების-
თვის თურმე ჯილდო რომ მოგცენ, საჭი-
როა ოქმის შედგენა ცხელ კვალზე და იმ
ოქმში ჩამოგდებული თვითმფრინავის სახე-
ობისა და ნომრის აღნიშვნა, აგრეთვე ნივთი-
ერმტყიცების რაიმე საბუთი.

1943 წლის 5 ივლისს, კურსკის რკალზე
გაფრთხილებული ბრძოლების დაწყების პირ-
ველსავე დღეს, ჩვენმა პოლკელმა, მესამე
დივიზიონელმა **მინაილ შიშინაშვილმა**
თვითმფრინავი ჩამოაგდო საზენიტო ტყვი-
ამფრქვევით. წესით უნდა მიეღო ორდენი,
დაჰკიდეს მხოლოდ მედალი „მამაცობისათ-
ვის“. გაიკვირვა. უთხრეს: ოქმში თვით-
მფრინავის ნომერი არ იყო ჩაწერილი, არც
რაიმე ნივთიერი საბუთი იყო წარმოდგენი-
ლი! თურმე მისი ჩამოგდებული თვით-
მფრინავის ფრთები და სხვა ნაწილებიც
ნივთიერ საბუთებად მაშინვე სხვებმა დაი-
ტაცეს და მიხეილ შიშინაშვილი ხელცარიე-
ლი დარჩა..

სამ ავგისტოს, როცა დიდი იერიში და-
ვიწყეთ, უკვე მე ჩამოვაგდე საზენიტო ორ-
ველიანი ტყვიამფრქვევით ორი თვითმფრი-
ნავი ნახევარ საათში, ჯერ ბზიკისნაირი
„მეკერშიტი-109“ და მერე ურჩხულისნაირი
„ჰენკელ-111“.

ოქმი კი შეადგინეს, მაგრამ... ის ორივე
თვითმფრინავი მიწაზე დანარცხებისთანავე
აფეთქდა, წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად გაი-
ფანტა და მათი ვერც ნომრები ჩაიწერა
ოქმში, ვერც ნივთიერი საბუთი წარვადგინე
და... ოქმის რეალიზაცია არ მოხდა!.. იმ
თვითმფრინავების ჩამოგდებისთვის საერთოდ
არავითარი მხედრული ჯილდო არ მიმიღია,
ოღონდ გულნაკლული მაინც არ დავრჩი:
ორივე მფრინავი ცეცხლმოდებული თვით-
მფრინავიდან გადმოხტა და ტყვედ ჩავგბარ-
და. დარწმუნებული ვარ, ორივე გადაურჩა
ომს. განა ესეუც ადამიანის ჯილდო არ
არის, როცა მტერს სიკვდილის მანქანას
დაუწყვავ, თვითონ იმას კი შენს მხარეს გად-
მოიბრუნებ?!

ეს ამბავი ჯილდოს მიუღებლობის გამო
როდი გავისხენე. საქმე ის არის, ომსაც
სწევია სოლმე საბუთომანის ბიუროკრა-
ტიზმი.

საბუთია საჭირო, საბუთი ყველგან!

ფრონტული უპის წიგნაკიდას

სტალინგრადში ერთი ჩვენი ჯარის-
კაცი მტრებს საკანალიზაციო მილით მიე-
პარა და მთელი ასეული მოსპო. არა, არ
გასკრილა. კარგა ხანია, სტალინგრადში
ყველა საკანალიზაციო მილი მშრალი იყო.

ორი მ ზ ვ ე რ ა ვ ი „მოენის“ მოსაყვანად
გაგზავნეს. ხედავენ, გერმანელი ჯარისკაცი
წესს. მიუპარებენ. ერთმა პირში ჩაუტენა
ფესსახვევი, მეორემ ზურგზე მოიგდო „ნა-
დავლი“ და გამოიქცნენ. მოათრიეს პოლკში
გერმანელი, ფესსახვევი ამოუღეს პირიდან
და... მკვდარია „მოენი“! არა, გზაზე არ
დახრჩობიათ, თურმე ადგილზევე მკვდარი
ვგდო.

ჯარისკაცებმა არაყი იხოვეს, ოღ-
ონდ უნდა რად ამღვრული. როგორ გაეწ-
მინდოთ? აირჩინაღი ჩავასხათ! ჩაასხეს
აირჩინადის კოლოფში. სულ შეიწოვა აირ-
ჩინადის ნახშირმა. დარჩენენ ხახამშრალი.

სოფალში რომ შევიდოდით, რუსი
ქალი ქოთნით რძეს მოგვაწოდებდა და...
მოიცა, მოიცა, ჯერ არ დალიო, „ხალადუშ-
კას“ ამოვიყვანო! „ხალადუშკა“ იყო ცოცხა-
ლი ბუყაყი. იგი ცივად ინახავდა რძეს. ერ-
თობ გემრიელი იყო!

ფრონტისპირა საღამო. შორს ჩანს
ცეცხლის შუქი, რომელიც განთიადს ჰგავს.
აყივლდნენ სოფელში მამლები. ეს აყივლება
სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. ჯარისკაცებმა
მიანგეს მათ ადგილსამყოფელს, ყველას თავი
წაგდებინეს, გაპუტეს, შეწვეს და მიირთვეს.
ომის ცეცხლით მოტყუებული მამლებისათვის
ის აყივლება უკანასკნელი გამოდგა. თუმცა,
კაცმა რომ თქვას, ომის ცეცხლის შუქი
განა მარტო მამლებს ატყუებს?!

ჩვენი პოლკის მეორე დივიზიონელი
დათიკო ბარსონიძე მზვერავი იყო.
ერთხელ შევიდა შენობაში, სადაც გერმანე-
ლებს შტაბი ჰქონდათ. გაქცევსას ფანისტებს
ყველაფერი წაეღოთ, რკინის სეიფის გარდა.
დათიკომ მოინდომა გაეგო, თუ რა იდო იმ
ცეცხლგამძლე კარადაში. რა თქმა უნდა, ვერ
გააღო. ჰოდა, სხვა რომ ვერაფერი მოახერ-
გა, იფიქრა, ავაფეთქებო. ყუმბარა შეუდო
ქვეშ, მოაბა მწური, თვითონ გარეთ გამრ-
ვიდა, გამოსწია მწურს და...

სასლი დივიზრა, კარადა მთელი დარჩა!..

ერთმა თანაკოლკელმა ჯარისკაცმა
რუმინეთ-უნგრეთის საზღვართან ყოფნისას
ორი ბარათი დაწერა, ერთი ბაბუისთვის,
მეორე შეყვარებული გოგოსათვის გასაგზავ-
ნად. უცებ ცეცხლის ხაზზე უხმეს ბატარეას.
იმ ჯარისკაცმა ბარათები ფაციფუტით ჩაღო
კონვერტებში (მაშინ უკვე კონვერტები გვე-
შოკებოდა), სწრაფად დააწება და გადასცა
ფოსტალიონს. უკვე ბუდაპეშტში ყოფნისას
ფოსტალიონმა ბაბუის წერილი: ბიჭო, რამ გა-
დაგრია, ეს რა სიყვარულის ბარათი გამო-
მიგზავნე?! თურმე ბაბუისათვის გასაგზავნი
ბარათი შეყვარებულისათვის გასაგზავნ კონ-
ვერტში ჩაუდგია, შეყვარებულის ბარათი კი
— ბაბუისმისამართიან კონვერტში.

ჯარისკაცებს ერთობ გვეყუროდა სიცილი
და უბრალო რამეზეც კი ვხარხარებდით
ხოლმე. ეს ამბავი მთელი თვე გვეყო სასა-
ცილოდ.

ქალაქი კლ უ ჟ ი რომ გვეგვიფისფლელთ-
შუა ქუჩაში ორი დედაბერი გრიშინის ხე-
ლიდან სტაცებდა ზურგიან სკანს-არა ჩემი, ა
არ ჩემი! რომელიც მოიხელთებდა, მეორეს
თავში ურტყამდა.

— ა, ასე იწყება მსოფლიო ომი! — ერთ-
დროულად სიცილით წამოიძახა რამდენიმე
ჯარისკაცმა.

ახალგაზრდასოფლებული უნგრე-
ლი სოფელი. ეზოში წესს მკვდარი გერმა-
ნელი ჯარისკაცი, ტყვია არ მოხვედრია,
არც სხვა ჭრილობა უჩანს. და, აი, რა გავი-
გეთ: თურმე საათის მოპარვა მოინდომა,
ხელი წაატანა და... სწორედ მაშინ დაიწყო-
ალა საათმა. ქურდმა ჯარისკაცმა, ეტყობა,
უცებ ვერ იგუშანა, მადვიძარა საათი ადრევე
რომ იყო დაქოქილი, დახალმული ეგონა და
შიშით გული გაუსკდა!.. ასე იცის შიშის
ელდამ!

1945 წლის აპრილი. გერმანელები
ხამუშ-ხამუშ კვლავ გვაყრინ ციდან მფრინავ
ფურცლებს: ტყვედ ჩავგზარდითო! ეს ფურ-
ლები ახლა მხოლოდ გვაცინებს გულიანად.

პიტლარმა თავის ჯარისკაცებს დაუ-
წესა საგანგებო ნიშანი — ვინ რამდენ რუ-
სულ ზამთარს გაუძლო. ეს იყო წითელი
ბაფთა ხალათის საყვლოზე. როცა ფიურერს
ელვისებური ომის გეგმა ჩაეფუშა, თავის
ჯარისკაცებს ამითლა ანუგეშებდა, გმირობად
უთვლიდა რუსული ზამთრის გადატანას. რუ-
მინეთში ვნახე რამდენიმე მკვდარი გერმა-
ნელი ჯარისკაცი, რომლებსაც რუსეთში ზამ-
თრის გატარების ნიშნები ეკეთათ, მავანს —
ერთო, მავანს — ორი, ზოგსაც — სამი!.. ამ
ნიშნისაზე ბევრი გერმანელი ჯარისკაცი რუ-
მინეთში დაიმარხა 44 წლის შემოდგომაზე.

პიტლარმა აგრეთვე დაუწესა მებრძოლებს
ყირიმის ალბის ნიშანი. 44 წლის შემოდ-
გომაზე ვნახე, ერთ მოკლულ გერმანელს
სწორედ ეს ნიშანი ეკეთა. ყირიმის აგარა-
კების მსურველი რუმინელთა სიმინდის ყა-
ნაში გულადმა იწვა ცისთვის გაყინულთა-
ლებშიმტკრებული, მაგრამ იქ ვეღარაფერს
ხედავდა, ვერც ღმერთს, ვერც ეშმაკს.

ჩვენი ჯარი ბერლინს რომ მიუახ-
ლოვდა, პიტლარმა კვებსა დაიწყო: ზურგი
და ფრონტი გავეართანე, აპირებდნენ მე
ვიცი, რასაც ვიზამო... რაც ქნა, დღეს ყვე-
ლამ იცის.

ბერლინის ოკერაციისას საბჭო-
თა ჯარის პროუქტორებმა გერმანელები ცინ-
დლებივით დააბრმავეს. ამ სინათლემ დღე
დაღამა გერმანულ ფაშიზმს და ახალი შუ-
ქით გაანათა ევროპა.

დავითაძრდა ომი. ჯარისკაცები საუბ-
რობენ „კურილკაში“.

პირველი: პიტლარმა შეიღების გაჩე-
ნას თავი იმითომ აარიდა, ქვეყნის მოვლა-
პატრონობაში ხელი შემეშლებო!

მეორე: არა, იცოდა, რა შავი დღეც
ელოდა ბოლოს და შეიღების დაღუპვის
ცოდვა აღარ მიიმტა!

მესამე: პიტლარის ბუნებისგან ცოდვის
მორიდება ვინ ეშმაკმა მოიგონა?! ადოლფი,
უბრალოდ, ცვედანი იყო და შეიღი იმითომ
არ გაუჩნდა!

რომელი არის მართალი?!



1418...

ათას ოთხას თვრამეტი დღე დასჭირდა მტრის მოსრას, რაინსტაგის დამხოზას, გამარჯვების დღის მოსვლას..

მე კი რვა წლის ვიყავი, ბევრი სიტყვა არ მეთქმის, მაგრამ მახსოვს სიმწარე ათას ოთხას თვრამეტის...

ო, იმ დღეთა ხილვები არ გამომდის ტვინიდან: გადაგვიქცა ღიმილი ცრემლებად და ტირილად!..

ათას ოთხას თვრამეტი დღე წამერთვა ბავშვობის.. ცისარტყელასფერება ტკბილ ოცნებას დავშორდი..

ათას ოთხას თვრამეტი დღე წელში ვიყავ მოხრილი — დედის გვერდით ვბარავდი, დედის გვერდით ვთონნიდი..

ათას ოთხას თვრამეტეტი ნათხოვარი წიგნები.. ათას ოთხას თვრამეტეტი ლაქემილი წინდები..

და შვიდასი ათასის მოლოდინი ფრონტიდან.. მამის ერთი ბარათი — მთელ სოფელს რომ ჰყოფნიდა..

ვინც თავიდან ბოლომდე, — არც ნაკლები, არც მეტი, — ცეცხლში განვლო დღეები ათას ოთხას თვრამეტი,

ვინც გმირობით დაბრუნდა და ჩვენს გვერდით ვინც არის, ვინც ფიცს არ უღალატა უკანასკნელ ფიცამდე...

მაგრამ ვინც გაიარა ათას ოთხას ჩვიდმეტი, ათას ოთხას თვრამეტის გამარჯვების იმედით,

და ერთი დღე დააკლდა ცხრა მაისის დღისათვის, მას მშობელი მამული უკვდავების ღირსად თვლის..

...მე კი რვა წლის ვიყავი, ბევრი სიტყვა არ მეთქმის, მაგრამ მახსოვს სიმწარე ათას ოთხას თვრამეტის..

მახსოვს ქვეყნის ღიმილი დაუფიწყარ ცხრა მაისს, და შემომჩა ტკივილიც, ვით ყორღანი მამაის..

ბური სახელოვანი მებრძოლი დაუბრუნდა ჩოსტაურის რაიონს ომიდან მკერდ-დამშვენებული. მათგან თავიანთი საბრძოლო ღირსებებით, განსაკუთრებით გამორჩეულია საბჭოთა აუზირის გმირი, ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე პლატონ წიქორიძე და სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოქროპირ შარაშენიძე. ისინი მეგობრები არიან. პლატონი ქერჩში ავლებდა მუსრს ფაშისტებს, ჯერ დესანტი იყო, მერე — ნაღმტყორცნელთა ასეულის მეთაური, ხოლო ოქროპირი ვორონეჟში ებრძოდა გერმანელებს. სწრაფი იყო და, რომ იტყვიან, „ტყვიას ტყვიამ აჯენდა“. ორივეს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი ფრონტული ცხოვრებიდან, თან ორივე, როგორც ყველა გურული, ენამოსწრებულია და ამბებს ისე ჰყვებიან, არ შეიძლება არ გაგვიცინოს!

— ცოტა არ იყოს, კაი შეიძლება ბიჭი ვიყავი მაშინ, — ჰყვება პლატონი, — კრივიც კარგად ვიცოდი და ჭიდაობაც, სამბოში კაციშვილი ვერ მჯობნიდა. გერმანელებს ჩემს დანახვაზე ეუღეთმეღეთი მოსდიოდათ. ერთხელ ორი გერმანელი შემომეფუთა. ჩემი დატყვევება არ მოუნდათ ამ მამაძაღლებს?! ორივე დავბეგვე, ერთმანეთზე მივაწყვე და მისიკვდილებულები მოვიყვანე შტაბში!..

— ერთი მთვრალი გერმანელი დავატყვევე, ლორივით ეგდო და ხვრინავდა, — იგონებს ოქროპირი (სოფელში რომ ოქრო კაცს ეძახიან), თან მახლდა ქართველი, ზუგდიდელი კვარაცხელია. სანამ ტყვეს შტაბში მივიყვანდით, კვარაცხელიას ვუთხარი, მოდი, გამოფინოვება ვაცალოთ-მეთქი!



— წაიყვანოთ ახლავე, თუ ძმა ხარ, თორემ მაგი ისეთი მამაძაღლია, „პანშელიაზე“ გამოყვანასაც მოგვთხოვს და საიდან მოვუტანო ლუდი და ვობლა მე?! — მითხრა კვარაცხელიამ. უცებ გერმანელს გამოეღვიძა, თვალეი გაახილა, სულ დაავიწყდა ხელ-ფეხშეკრული რომ იყო და შეგვძახა.

— ჰენდე სოს!
— სოს! — გაეცინა კვარაცხელიას, — ჩვენ ავაწვიეთ ხელები და აქუთ გვეუბნები, ჰენდე სოსო?!

მიხაკოს განკი

საქვეყნოდ გახმაურებულია მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებისა და შრომის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების ვივი წითლიძისა და მიხაკო ორაგველიძის მეგობრობისა და შეჯიბრების ამბები. ისიც ყველამ იცის, მიხაკო ორაგველიძემ კოლმეურნეობის დანაშაუგიდან რომ სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნეს“ ხუთი ვაგონი საჩუქარი და მილიონი მანეთი თანხა გაუგზავნა ტანკების გასაკეთებლად, ომის შემდეგ კი შრომელების თავმჯდომარემ ერთი ტანკი დაიბრუნა და სოფლის ცენტრში დადგა, თან ქვეყნის ლულა ნატანებისკენ შეაბრუნა.

ეს ლულა იმიტომ შევებრუნეთ ნატანებისკენ, რომ იქნებ ცოტათი ჩვენი შეეშინდეთ ნატანებებს და გარდამავალი წითელი დროშა არ წავგართვანო! — უხუმრია თურმე მიხაკოს. ვივი წითლიძეს კი ასე შემოუთვლია შრომელებისთვის: თქვე გლახებო, მაგი ტანკი რომ კარგი ყოფილიყო, ჯარიდან მიხაკოს გამოუგზავნიდნენო?!


ტანკი კი დღესაც დგას სოფელ შრომის ცენტრში, საბრძოლო დიდების მემორიალთან, და იქაურებმა მას „მიხაკოს ტანკი“ შეარქვეს!..


— იმდენი წერილი საკუთარი შვილისა და ნათესავებისაგან არ მიმიღია რამდენიც ფრონტული ჯარისკაცებისაგან მაქვს მიღებული, — იგონებს მიხაკო ორაგველიძე, — ბევრი მათგანი დღესაც ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობს და ახლაც სჯობნიან ახალგაზრდებს. ილია კვაჭანტირაძის, დანიელ ყუბუხიძის, კარლო მჟავანაძის, კვიროსი ქაღვიშვილის, ვენატე მორგოშაის, ივსისხი ყალიჩავას ანგარიშზეა ასობით საბრძოლო წარმატება. სწორედ ამისთანა ბიჭებმა მოიგეს ომი და მათი წყალობით დღესაც ვიგებთ სხვა კოლმეურნეობებთან სოცშეჯიბრებას!

ილია კვაჭანტირაძე 1945 წლის გამარჯვების პარადის მონაწილეა და ჩვენი ყველა გამარჯვების მონაწილედ.

არც ქალები გვყავს მათზე ნაკლები: ომის ქარცეხილი და უბედურება გამოიარეს ციცილო მალაშონიამ, თამარ გელაშვილმა, გუგული ვაჩიშვილმა, ქეთევან სომერიკმა, თინა სომერიკმა და, შინ რომ დაბრუნდნენ, ბევრ მამაკაცსაც აჯობეს შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში!..

ასე რომ, ომის დროსაც დიდი შრომა გასწია სოფელ-მა შრომაში!





გერმანული სიზუსტა

— 'ვაიფე, კურტ? საბრალო ოტომ თავი იმ სოფელში დატოვა, საიდანაც ჩვენ გამოვოქცეთ!

— ეტყობა, ზუსტად შეუსრულე-ბია ბატონ ობერ-ლეიტენანტის ბრძანება: უკან დახვევის დროს ზედ-მეტი ბარგი ადგილზე დატოვო!

საბრალო ვეზაფინეოვა

— ჯარისკაცო დრაპენ, როგორ მიესალმები ლეიტენანტს?

— თუ გერმანელია, ერთ ხელს ავწევ, თუ რუსი — ორივეს!

თითოფოსასურება



— წინასწარ რატომ ითხრი სა-მარეს, ფრანც?! წითლები ჯერ ხომ შორს არიან ჩვენგან?! — წესად მაქვს: არასოდეს არ გადავდო მეორე დღისათვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შემიძლია!

წასვლის მიხედვით

— რატომ გარბიან თქვენი ჯა-რისკაცები შეუჩერებლად, ბატო-ნო ობერლეიტენანტო?!

— ისინი წესდების მიხედვით მოქმედებენ, ბატონო მაიორო: ეშინიათ, არ ჩამორჩნენ და შტაბ-თან კავშირი არ გაწყვიტონ!

ოჯახური ტრადიცია



რუსმა ოფიცერმა ჰკითხა ხარ-კოვთან შეპყრობილ გერმანელ ტყვეს:

— რამ გაიძულათ, დაგვანებო-დით?

— მემკვიდრეობითობამ!

— როგორ თუ მემკვიდრეობი-თობამ?!

— მამაჩემიც ტყვედ დაგვანებდათ ხარკოვთან, 1918 წელს!..

გადალი განზრახვა

გერმანელი ოფიცერი: — რა განზრახვამ გაიძულათ, რომ მო-ხალისედ ჩაეწერეთ გერმანიის არმიას?

მოსალისე: — უარი რომ მეთქვა. უეჭველად დამხვრეტდნენ! ახლა კი შეიძლება იმის საშუალება მომიყვას, რომ ტყვედ ჩავვარდე!

უცხოური იუპორი

პასუხი სალაშხა



საბჭოთა ბომბდამშენის ბერ-ლინზე თავდასხმის შემდეგ შულ-ცი შეხვდა მიულერს, რომელსაც თავი დოლბანდით ჰქონდა შეხ-ვეული.

— რა დაგემართათ?! — შესძახა შულცმა, — თქვენც საპაერო თავ-დასხმის მსხვერპლი გახდით?!

— არა, მე მხოლოდ დაბომბვის დროს დაშავებულ ნაცნობს შევ-ხვდი!..

— მერე?! — ისეთი არაფერი!.. მივესალმე, ჰაილ, ჰიტლერ-მეთქი!

ელასტიკური ცნობები

ფაშისტური რადიო იტყობინე-ბოდა: რუსები უკანასკნელ ბრძო-ლებში იმდენად დაუსუსტდნენ, რომ არ ძალუძთ, გაქცეულ გერმანელ-თა ნაწილებს დაეწიონო!..

მესაფლავე

ვარშავის ქუჩაში ვიღაც კაცი მიაბიჯებდა და თავისთვის ბუტბუ-ტებდა:

— ფაშისტებისათვის სიამოვნე-ბით ვიმუშავებდი დღეღამე უფა-სოდ!

მის ლაპარაკს ყური მოჰკრა გერმანელმა პოლიციელმა და ჰკითხა:

— რატომ იმუშავებდი ჩვენთვის უფასოდ, ისიც დღეღამე?! ვინა ხარ?!

— მესაფლავე!

ოქაპირაბულ მხარაში



— შეხედე, როგორ დაღონებულია პანს შრეკერი!

— დაღონებული იქნება, აბა, რა? ბრძანება მოვიდა: გერმანე-ლთა გარნიზონის ნახევარი რუ-სეთში უნდა გაიგზავნოსო, მთელი გარნიზონიდან კი მარტო ეგლა დარჩა.

— შუაზე გაჭრა მოუწყეს საბ-რალს — სინანულით თქვა თანა-მოსაუბრემ.

შეფასება

— ბატონო გენერალო, საბჭოთა გვარდიელებთან შეტაკების შემ-დეგ ჩემს პოლკს შევსება სჭირდე-ბა!

— რამდენი გინდა? — მთელი პოლკი, ბატონო გე-ნერალო!

აორთქლება

— არ იცი, პანს, ჩვენი მეზო-ბელი დივიზია რა იქნა?

— გუშინ გაგზავნეს ჩვენი მე-ზობელი ასეულის შესავსებად!

მოღალატე



ხედავ, ფრიც, რა მოღალატე ყოფილა ჩვენი ობერ-ლეიტენან-ტი! ჩვენ გვიყვიროდა, წინ გავ-წიოთო და თვითონ კი აფეთქე-ბის დროს ჰაერში აფრინდა!..

გამოსდილავის გაზიარება



როდესაც პარიზი აიღო, ჰიტლე-რი ნაპოლეონის საფლავთან მი-ვიდა.

— ვინ მირღვევს მყუდროებას?! — გაისმა ყრუ ხმა ქვის სარკოფა-გიდან.

— მე, ადოლფ ჰიტლერი, დღეს ევროპის, ხოლო ხვალ მსოფლიოს მპყრობელი!

— რუსები თუ დაამარცხე?

— ეგ წვრილმანია! — ხელი ჩაი-ქნია ყოყოჩა დამპყრობელმა, — ერთი-ორი და მორჩა..

— მეც ეგრე ვამბობდი, — მოი-სმა მშვიდი ხმა სამარვიდან, — სჯობს ახლავე გვერდით მომიწვი!

გენერალმა... არაფერი ვაქვთ, ბატონო მიწისტ-რო! რუსებმა კვლავ დიდძალი რა-დენობით იგდეს ხელთ ჩვენი ტან-კები და ქვემეხები, მერე კი ამ ჩვენი იარაღით ჩვენივე ბატალი-ონები გაანადგურეს!..

გებელსი: — ჩინებულა! ასეც დავწერთ: „გერმანული იარაღის ახალი გამარჯვება“.

გვაპლის მოხსენება



— ჩვენ გვაქვს ახალი იარაღი! როგორც კი ავამოქმედებთ მას, ომს მაშინვე მოვლება ბოლო!

— ასეთი რა იარაღია?! — ჰკი-თხა მოხსენების შემდეგ ერთმა ახლობელმა.

— თეთრი ბაირაღი!

სიტყვა და საქმე



— ჩვენი მაიორი, ფონ კრიკენი, ამბობდა: მურმანსკის ალბა აფვი-ლია, მხოლოდ ხელების გაჭიმვაა საჭირო!

— ახლა სად არის ის თქვენი მაიორი?

— ფეხები გაჭიმა!..

დააქვება

— ფიურერი შეგვიბრდა, საალ-დგომოდ თითო ნაჭერ ღორის შაშხს მოვცემთო!

— იმან რა იცის, საიქიოში რით იკვებებიან?!

შედავათი



— კარლმა მანინგ შესძლო საბ-ჭოთა სნაიპერის ტყვიას გაქცეო-და!..

— როგორ მოახერხა?!

— სრულიად უბრალოდ: ნაღმზე აფეთქდა!..

გაზეთ „ნოვს ლეპენიდან“ თარგმნა ფოთა ამირანაშვილმა

* * *

ვიამბობ ჩემსას
ამ მოთხრობით ცხოვრებას ბედკრულს,
ოცნების მსხვერველს:
სანგრეში ვდებას,
თოვლებს, წვიმებს, ულუფას მხედრულს,
ფრონტებზე თრევას.

ცხრაშეტი წლისას
ომში მიკრეს თავი და ვყვები, —
არა სისხლის, ოფლისას ფეშხუმს;
რაც მე გზა ვლევს,
არ ულესავს იმდენი გზები
ალექსეი მაქსიმოვიჩ პეშკოვს.

შენ არ გეგონოს,
იყო მარტო სისხლის ტბორები —
ქვეყანა ომის!
სასუობა
ერთდაგვარი ისიც ცხოვრების —
ტანჯვის და შრომის.

რაც მიწა ვხან და
ვაფხვიერე სწრაფად და ცქაფად,
ანუ რაც მე სანგრები ვჭერი,
ის არ უქნია
გლესს, პაპაჩემ ფირანას, ალბათ, —
ექნას, ძმაო,
ნაკლებად მჯერა!

და, კიდევ, ომი
ჩვეულებრივ ცხოვრებას რით ჰგავს,
ვეტერანი ამასაც გვეტყვის:
ხასიათები
ათასგვარი წინ ლანგრით გვიდგას —
გასარჩევად შავის და თეთრის.

შესვდები ომში
თავგანწირულ ვაჟკაცს და რაინდს,
შესვდები — პადლეცს...
(შემოსულია
ეს „პადლეცი“ ქართულში მაინც —
შეიძლებოდა გვეხმარა ადრეც!...)

კლიუჩევიასთან
გააფთრებით მტერი გეზომბავდა,
შევცურეთ წყალში...
ოჰ, მაილენსკი —
ჩვენი მამა, ჩვენი კომბატი
კაცური კაცი!

ვყლაპეთ და ვყლაპეთ
ბიჭბუჭებმა ყუბანის წყალი,
ზვიროს ჭრიდა ბუჭით,
გადასარჩენად
(ჩვენ ცურავზე ვიყავით მწყრალი)
ჩვენს კომბატს შევრჩით.

მან ერთხელ უთხრა
ზემდეგ ჩვენსას თავგასიებულს,
კრივენკოს გვარად:
„მოეყარ ფრონტილად,



ხან. ბ. ლეზანიძის

„ნიანგი“, 1945 წ., № 1-2

მითქვამს შენთვის, კავკასიელებს!
ვირი ხარო!“ — დასძინა მწყრალად.

კრივენკოს — რეგვენს
და ძაღლთაპირს ბღვერით ვზვერავდით—
მოგვეკლა, გვსურდა ...
მიყვარდა ჩინი
კაპიტნის და ლეიტენანტის,
ზემდეგის — მძულდა...

ასე და ასე!
იყო სისხლი და იყო ოფლი,
არ იყო — ღმერთი;

ჩვენ ამნაირად
(მოგონება კისრამდე გვეყოფნის!)
ვიყნოსეთ დენთი.

შენ ნუ მოგასწროს,
ნუ მოგასწროს ცხოვრებას მხედრულს,
ოცნების მსხვერველს,
სანგრეში ვდებას,
თოვლებს, წვიმებს, ულუფას ბედკრულს,
ფრონტებზე თრევას!



საბრძოლო მუხრანში
მურმანი „ნიანი“ №9-10
(1692) მაისი, გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაშრ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ბაბუა ამირეჯიბი, ნოზლი
ბართიაჟი, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ხევან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წივწივაძე, ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუნალაშვილი


გადაცემა ისაწყობად 9. 04.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 22. 05. 85 წ. ქე-
ლალის ზომა 60X90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 3,8, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა №871 შე 00030
ტირაჟი 143.000 ყურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
ბროსბექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 40 კაპიკი
მხდექსი 76137





ნეოფაშისტები ორმოც უხდიან თავიანთ წინამძღვრებს!

КОНТРОЛЬНЫЕ
СЛУЖБЫ